

შპს „ვეზირი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
5. ძირითადი საშუალებები	18
6. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში.....	19
7. გაცემული სესხები	19
8. მარაგები.....	20
9. საგადასახადო აქტივები	20
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
12. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება.....	22
13. მიღებული სესხები	23
14. სახელშეკრულებო ვალდებულებები	24
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	24
16. ამონაგები.....	24
17. მარაგების ხარჯი.....	25
18. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	25
19. სხვა შემოსავალი, წმინდა	25
20. ფინანსური შემოსავალი.....	25
21. ფინანსური ხარჯი.....	26
22. პირობითი ვალდებულებები	26
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	27
მმართველობის ანგარიშგება.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვეზირის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ვეზირის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს მე-6 და მე-7 შენიშვნებშია მოცემული, კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს მეკავშირე საწარმოში ინვესტიცია და გაცემული სესხი ღირებულებით 353,603 ლარის (2023 წელი: 320,440 ლარი) და 2,603,990 ლარის (2023 წელი: 2,261,437 ლარი) ოდენობით, შესაბამისად. მოცემულ მუხლებზე ფიქსირდება გაუფასურების ნიშნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიციისა და გაცემული სესხის გაუფასურებაზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, რაიმე სახის კორექტირება მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციასთან და გაცემული სესხის გაუფასურებასთან დაკავშირებით.

კომპანიის გაცემული სესხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2,603,990 ლარის ოდენობით. გაცემული სესხის ხელშეკრულების მიხედვით, გადახდის დროს ჯერ უნდა დაიფაროს სესხის პროცენტი და შემდეგ ძირი. კომპანია არ აღრიცხავს დაფარულ თანხებს, როგორც პროცენტის მიღებას და ამცირებს მხოლოდ სესხის ძირს. აღნიშნული მიდგომა არის როგორც ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ასევე, მსს ფასს სტანდარტებიდან გადახვევა. კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერებიდან გამომდინარე, სწორად აღრიცხვის შემთხვევაში, კომპანიის სესხის ნაშთი და საპროცენტო შემოსავალი 200 ათასი ლარით მეტი იქნებოდა.

კომპანიას 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს რამდენიმე გარდამავალი პროექტი, რომელიც მოიცავს ინსტალაცია-მონტაჟს და გადადის წლიდან წელში. კომპანია მოცემული პროექტების შესრულებისთვის იყენებს მარაგებს, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ზედნადებ ხარჯებს, საიდანაც შრომის ანაზღაურებას და სხვა ზედნადებ ხარჯებს აღრიცხავს პერიოდის ხარჯებად და არ აკაპიტალიზებს მარაგებში დაუმთავრებელი წარმოების ღირებულებაში. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები შრომის ანაზღაურებისა და სხვა ზედნადები ხარჯების ოდენობაზე წლიდან წელში გარდამავალ პროექტებთან დაკავშირებით. შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა შრომის ანაზღაურების, სხვა ზედნადები ხარჯებისა და მარაგების მუხლებში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შპს „ჯეონატურალსთან“ ერთად წარმოადგენს თანამსესხებელს ბანკის სასარგებლოდ 2,869 ათასი ლარის (2023: 2,276 ათასი ლარის) საბალანსო ღირებულების სესხებზე. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჯეონატურალსი“ ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ბანკის სესხის დაფარვას, კომპანია იქნება ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუფასებია თანამსესხებლის ხელშეკრულებით განსაზღვრული თავდებობის პირობითი ვალდებულებები და ანარიცხის მოცულობა, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ყურადღებას, აგრეთვე, ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-13 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია არაფინანსური შეზღუდვები, რომელიც ვერ შეასრულა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილ საკითხზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის

ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-966804)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი, 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვეზირის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ვეზირის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს მე-6 და მე-7 შენიშვნებშია მოცემული, კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს მეკავშირე საწარმოში ინვესტიცია და გაცემული სესხი ღირებულებით 353,603 ლარის (2023 წელი: 320,440 ლარი) და 2,603,990 ლარის (2023 წელი: 2,261,437 ლარი) ოდენობით, შესაბამისად, მოცემულ მუხლებზე ფიქსირდება გაუფასურების ნიშნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიციისა და გაცემული სესხის გაუფასურებაზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა, რაიმე სახის კორექტირება მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციასთან და გაცემული სესხის გაუფასურებასთან დაკავშირებით.

კომპანიის გაცემული სესხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2,603,990 ლარის ოდენობით. გაცემული სესხის ხელშეკრულების მიხედვით, გადახდის დროს ჯერ უნდა დაიფაროს სესხის პროცენტი და შემდეგ ძირი. კომპანია არ აღრიცხავს დაფარულ თანხებს, როგორც პროცენტის მიღებას და ამცირებს მხოლოდ სესხის ძირს. აღნიშნული მიდგომა არის როგორც ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ასევე, მსს ფასს სტანდარტებიდან გადახვევა. კომპანიის ბუღალტრული ჩანაწერებიდან გამომდინარე, სწორად აღრიცხვის შემთხვევაში, კომპანიის სესხის ნაშთი და საპროცენტო შემოსავალი 200 ათასი ლარით მეტი იქნებოდა.

კომპანიას 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს რამდენიმე გარდამავალი პროექტი, რომელიც მოიცავს ინსტალაცია-მონტაჟს და გადადის წლიდან წელში. კომპანია მოცემული პროექტების შესრულებისთვის იყენებს მარაგებს, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ზედნადებ ხარჯებს, საიდანაც შრომის ანაზღაურებას და სხვა ზედნადებ ხარჯებს აღრიცხავს პერიოდის ხარჯებად და არ აკაპიტალიზებს მარაგებში დაუმთავრებელი წარმოების ღირებულებაში. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები შრომის ანაზღაურებისა და სხვა ზედნადები ხარჯების ოდენობაზე წლიდან წელში გარდამავალ პროექტებთან დაკავშირებით. შესაბამისად ვერ განგვესაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა შრომის ანაზღაურების, სხვა ზედნადები ხარჯებისა და მარაგების მუხლებში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შპს „ჯეონატურალსთან“ ერთად წარმოადგენს თანამსესხებელს ბანკის სასარგებლოდ 2,869 ათასი ლარის (2023: 2,276 ათასი ლარის) საბალანსო ღირებულების სესხებზე. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შპს „ჯეონატურალსი“ ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ბანკის სესხის დაფარვას, კომპანია იქნება ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუფასებია თანამსესხებლის ხელშეკრულებით განსაზღვრული თავდებობის პირობითი ვალდებულებები და ანარიცხის მოცულობა, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ყურადღებას, აგრეთვე, ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-13 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია არაფინანსური შეზღუდვები, რომელიც ვერ შეასრულა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილ საკითხზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის

ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი, 2025 წელი

შპს „ვეზირი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,601,668	1,566,677
არამატერიალური აქტივები		25,678	12,500
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	6	353,603	320,440
გაცემული სესხები	7	-	2,261,437
		1,980,949	4,161,054
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	6,441,813	4,680,843
გაცემული სესხები	7	2,603,990	-
საგადასახადო აქტივები	9	884,264	754,021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,615,560	2,662,357
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	587,721	280,188
		12,133,348	8,377,409
სულ აქტივები		14,114,297	12,538,463
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,410	1,410
გაუნაწილებელი მოგება	12	1,460,268	1,554,241
სულ კაპიტალი		1,461,678	1,555,651
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	1,157,637	863,803
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	10,545,705	9,491,463
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	949,277	627,546
		12,652,619	10,982,812
სულ ვალდებულებები		12,652,619	10,982,812
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,114,297	12,538,463

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი




პაატა აროშიძე

გიორგი პარკაია

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,601,668	1,566,677
არამატერიალური აქტივები		25,678	12,500
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	6	353,603	320,440
გაცემული სესხები	7	-	2,261,437
		1,980,949	4,161,054
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	6,441,813	4,680,843
გაცემული სესხები	7	2,603,990	-
საგადასახადო აქტივები	9	884,264	754,021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,615,560	2,662,357
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	587,721	280,188
		12,133,348	8,377,409
სულ აქტივები		14,114,297	12,538,463
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,410	1,410
გაუნაწილებელი მოგება	12	1,460,268	1,554,241
სულ კაპიტალი		1,461,678	1,555,651
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	1,157,637	863,803
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	10,545,705	9,491,463
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	949,277	627,546
		12,652,619	10,982,812
სულ ვალდებულებები		12,652,619	10,982,812
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,114,297	12,538,463

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	პაატა აროშიძე
ფინანსური დეპარტამენტის	_____	გიორგი პარკაია
ხელმძღვანელი	_____	

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	16	18,276,158	16,414,130
მარაგების ხარჯი	17	(6,763,689)	(5,698,201)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(9,157,290)	(8,949,442)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(125,594)	(100,275)
ფინანსური აქტივებისა და ავანსების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	10	(4,644)	39,194
სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(1,518,614)	(1,664,626)
საოპერაციო მოგება		706,327	40,780
სხვა შემოსავალი, წმინდა	19	293,721	1,797,598
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(25,297)	(104,756)
ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების ცვლილება		36,327	-
ფინანსური შემოსავალი	20	334,212	285,059
ფინანსური ხარჯი	21	(108,781)	(199,966)
მოგება დაბეგვრამდე		1,236,509	1,818,715
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(197,377)	(276,170)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,039,132	1,542,545

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,410	1,614,613	1,616,023
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,542,545	1,542,545
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,602,917)	(1,602,917)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,410	1,554,241	1,555,651
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,039,132	1,039,132
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,133,105)	(1,133,105)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	1,410	1,460,268	1,461,678

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვეზირი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე:	1,236,509	1,818,715
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	125,594	100,275
ფინანსური შემოსავალი	(334,212)	(285,059)
ფინანსური ხარჯი	108,781	199,966
ფინანსური აქტივებისა და ავანსების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	4,644	(39,194)
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება		(1,797,598)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	(57,331)	-
ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(36,327)	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	8,788	111,038
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა (მოგება) ზარალი	25,297	104,756
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	1,081,743	212,899
<i>შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:</i>		
მარაგები	(1,769,758)	(1,653,544)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,121,158	(1,137,236)
საგადასახადო აქტივები	(130,243)	66,577
<i>შემცირება/(ზრდა) საოპერაციო ვალდებულებებში:</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	328,894	35,449
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,054,242	5,717,884
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტამდე	1,686,036	3,242,029
მიღებულ სესხებზე, საბანკო გარანტიებზე და აკრედიტივზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(108,781)	(199,966)
გადახდილი მოგების გადასახადი	(197,377)	(276,170)
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	521	6,310
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	1,380,399	2,772,203
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(208,830)	(1,249,855)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფული	105,576	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(13,178)	-
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	2,329,694
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	-	(649,766)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(33,163)	(33,163)
გაცემული სესხები	(1,363,240)	(1,458,207)
გაცემული სესხის დაბრუნება	1,347,600	488,660
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(165,235)	(572,637)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხის დაფარვა	(1,837,217)	(1,897,190)
სესხის აღება	2,145,864	1,380,085
გადახდილი დივიდენდები	(1,133,105)	(1,602,917)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(824,458)	(2,120,022)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	390,706	79,544
ფულადი სახსრები წლის დასაწყისთვის	280,188	253,183
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(83,173)	(52,539)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	587,721	280,188

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვეზირი“ დაფუძნდა 1996 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204892296. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქუჩა # 7.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების გაყიდვა, მონტაჟი და შემდგომი მომსახურება, ასევე, დაცვის მომსახურება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	წილი კაპიტალში
პაატა აროშიძე	43%
დავით გამცემლიძე	42%
გრიგოლ ცაავა	15%
	100%

კომპანიის დირექტორია ბატონი პაატა აროშიძე.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა ბარტერის ოპერაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნიდან, რომელიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. დეტალებისთვის იხილეთ მე-10 შენიშვნა.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი).

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	<i>საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი</i>	
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ასევე გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს ნაწილობრივ ავანსის გადახდის და დარჩენილი ნაწილის მომსახურების დასრულების შემდგომ გადახდის პირობით. მოთხოვნებს, გაცემული სესხისგან განსხვავებით არ ერიცხებათ სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ასევე, გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და არ ერიცხება პროცენტი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს, რომლებიც წარმოადგენს მოკლევადიან, მაღალ-ლიკვიდურ აქტივებს. მიმდინარე ანგარიშებზე კომპანია იღებს სარგებელს. დარიცხული სარგებელი წარდგენილია ფინანსურ შემოსავალში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია წვევს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები**აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე, აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი აღრიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	-
აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	2-12
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაზღვრად დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და არ გააჩნია კონტროლი. მნიშვნელოვან გავლენას როგორც წესი თან ახლავს მეკავშირე საწარმოს წილის 20-50%-ის ფლობა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში დაბანდებულ ინვესტიციებს კომპანია აღრიცხვას თვითღირებულების მეთოდით. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის გაუფასურების ზარალებით შემცირებას (არსებობის შემთხვევაში).

ინვესტიციის მიმართ გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება ინვესტიციის ამოსაღები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების მეშვეობით. გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება და უქმდება იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა ხელსაყრელ ცვლილებას ამოსაღები თანხის განსაზღვრის შეფასებებში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

ამონაგები

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის (იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის) ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების გაყიდვა, მათი მონტაჟი და შემდგომი მომსახურება, ასევე, მარაგების პირდაპირ გაყიდვა მომხმარებლებისთვის და დაცვის მომსახურება.

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მოიცავს ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე საინსტალაციო სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავლებს. აღნიშნული შემოსავლები აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე ან აქტივთა ჯგუფზე გადაეცემა მომხმარებელს ან მოხდება მომსახურების მიწოდება.

გარიგების ღირებულების ნაწილის გადახდა ძირითადად ხდება ავანსად, ხოლო დარჩენილი ნაწილის ან სრული თანხის გადახდა დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის/მომსახურების შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე (არაუმეტეს). აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაგრამ ასევე მოიცავს ისეთ ოპერაციებსაც, რომელიც აღიარდება დროთა განმავლობაში (მაგ. საინსტალაციო/მონტაჟის მომსახურება).

შემოსავალი დაცვითი და სხვა მომსახურებიდან

შემოსავალი დაცვითი და სხვა მომსახურებებიდან მოიცავს შემოსავლებს დაცვითი მომსახურებიდან, სატელეკომუნიკაციო და საინჟინრო სისტემების შემდგომი მომსახურებიდან (მხარდაჭერა) და საკონსულტაციო მომსახურებიდან. აღნიშნული სახის შემოსავლები აღიარდება დროთა განმავლობაში. ყოველთვიური მომსახურებები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად. ხოლო, შემოსავალი ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება გაიწევა.

გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა/მომსახურების მიღება, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე.

შემოსავალი დაცვითი და სხვა მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, მაგრამ ასევე მოიცავს ისეთ ოპერაციებსაც, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

ფინანსური შემოსავალი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს ფინანსურ შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე არსებული დეპოზიტებიდან და გაცემული სესხებიდან. ფინანსური შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

სახელფასო ხარჯი მოიცავს ფიქსირებულ ხელფასებს, ბონუსებსა და არაფულად სარგებელს. ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოებთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებზე, საიჯარო ვალდებულებაზე და აკრედიტისა და საგარანტიო ხელშეკრულებაზე დარიცხულ ფინანსურ ხარჯს. ფინანსური ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც:

- (ა) კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც არის წარსული ქმედების შედეგი;
- (ბ) მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსის გასვლა ვალდებულების დასაფარად; და
- (გ) შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობა შესრულებულია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს, ესენია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტორი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციასა და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	687,715	336,055	1,064,289	66,967	2,155,026
შემოსვლა	1,135,893	113,962	-	-	-	1,249,855
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,135,893	801,677	336,055	1,064,289	66,967	3,404,881
შემოსვლა	-	100,608	-	108,222	-	208,830
გასვლა	-	(1,398)	-	(127,475)	-	(128,873)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	1,135,893	900,887	336,055	1,045,036	66,967	3,484,838
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(481,695)	(269,304)	(929,018)	(57,912)	(1,737,929)
ცვეთა	-	(67,093)	(4,828)	(27,567)	(787)	(100,275)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(548,788)	(274,132)	(956,585)	(58,699)	(1,838,204)
ცვეთა	-	(96,783)	(839)	(27,185)	(787)	(125,594)
გასული ძირითადი საშუალებების აკუმულირებული ცვეთა	-	-	-	80,628	-	80,628
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(645,571)	(274,971)	(903,142)	(59,486)	(1,883,170)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,135,893	252,889	61,923	107,704	8,268	1,566,677
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	1,135,893	255,316	61,084	141,894	7,481	1,601,668

კომპანიას 2023 წელს შესყიდული მიწა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგირავებული ჰქონდა სს "თიბისი ბანკის" სასარგებლოდ, მიღებული სესხის სანაცვლოდ.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

2019 წლის 22 მაისს კომპანიამ შეიძინა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში შპს „ჯეონატურალსი“ 33.33%-იანი წილი, რაშიც გადაიხადა 180,772 ლარი (65,000 აშშ დოლარი). კომპანია მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით.

შპს „ჯეონატურალსი“ მოღვაწეობს საქართველოში. მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს დაკონსერვებული საკვები პროდუქტების წარმოება, ვაჭრობა და დისტრიბუცია.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	320,440	287,277
დამატებითი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	33,163	33,163
31 დეკემბერი	353,603	320,440

2024 და 2023 წლის პერიოდებში არ მომხდარა მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის განაწილება.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი აქტივები	1,665,971	3,101,019
გრძელვადიანი აქტივები	802,412	830,724
სულ აქტივები	2,468,383	3,931,743
მოკლევადიანი ვალდებულებები	1,054,983	2,074,076
გრძელვადიანი ვალდებულებები	4,438,518	4,343,422
კაპიტალი	(3,025,118)	(2,485,755)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,468,383	3,931,743
	2024	2023
ამონაგები	3,659,364	1,105,470
ხარჯები	(4,206,701)	(2,210,425)
წლის წმინდა ზარალი	(547,337)	(1,104,955)

7. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024		სულ
				მისაღები პროცენტი	მისაღები ძირი	
შპს ჯეონატურალსი	18.60%	ლარი	1/7/2025	871,563	1,732,427	2,603,990
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023		სულ
				მისაღები პროცენტი	მისაღები ძირი	
შპს ჯეონატურალსი	18.60%	ლარი	1/7/2025	537,890	1,723,547	2,261,437

* 2025 წელს მხარეები შეთანხმდნენ სახელშეკრულებო ვადის გახანგრძლივებაზე 2027 წლის 1 ივლისამდე.

2024 წელს გაცემული სესხის ლიმიტი გაიზარდა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და შეადგინა 4,000,000 ლარი (2,000,000 ლარის ნაცვლად).

2024 წლის განმავლობაში დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 333,691 ლარი (2023: 278,749 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის გაცემულ სესხებზე იხილეთ მე-20 შენიშვნა.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. მარაგები

მარაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	2,012,239	406,071
სამონტაჟო მასალები	1,719,676	1,803,925
სახანძრო სისტემები	810,556	717,148
საკეტები და უსაფრთხოების სისტემები	639,995	680,860
კომპიუტერული მოწყობილობები	424,531	338,736
კამერები და ტელეფონები	382,692	243,973
კვების ბლოკი	195,830	205,774
სამუშაო აღჭურვილობა	76,438	83,263
სხვა*	408,804	421,253
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(228,948)	(220,160)
	6,441,813	4,680,843

*კომპანია იყენებს მარაგების მრავალ სახეობას, აღნიშნულ კლასიფიკაციაში გაერთიანებულია მცირეფასიანი თუმცა რაოდენობრივად ბევრი და სხვადასხვა ტიპის მარაგები, რომლებიც არ მიეკუთვნება ზემოთ მოცემულ სხვა კლასიფიკაციებს.

მარაგები შეიძლება, ასევე, წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მარაგები დაუსრულებელი პროექტებისთვის (დაუმთავრებელი წარმოება)	2,031,152	2,237,769
სხვა მარაგები	4,639,609	2,663,234
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(228,948)	(220,160)
	6,441,813	4,680,843

9. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია საგადასახადო ნაშთებს წარადგენს ნეტო ღირებულებით - 884,264 ლარის (აქტივი) და 754,021 ლარის (აქტივი) ოდენობით, შესაბამისად.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	952,289	888,804
გაუფასურების ანარიცხი	(60,136)	(41,952)
ფინანსური მოთხოვნები - წმინდა	892,153	846,852
არაფინანსური მოთხოვნები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	324,634	163,316
უზრუნველყოფა სახელშეკრულებო ვალდებულებისთვის*	-	1,299,750
მოთხოვნა ბარტერის ოპერაციიდან **	440,447	407,653
გაცემული ავანსების ანარიცხი	(41,674)	(55,214)
	1,615,560	2,662,357

* აღნიშნული თანხა წარმოადგენდა სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგთან" გაფორმებულ საგარანტიო ხელშეკრულების ფარგლებში ერთ-ერთი კონტრაგენტის სახელშეკრულებო ვალდებულების დაზღვევის გარანტიას. გარანტიას ვადა გაუვიდა 2024 წლის თებერვალში.

** კომპანიამ 2023 წელს გაყიდა მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სახელშეკრულებო თანხის 15% (153,000 დოლარი) მყიდველმა უნდა აანაზღაუროს ნატურით, კერძოდ შპს „ვეზირისთვის“ აშენებულ კომპლექსში ფართის გადაცემით მაქსიმუმ 42 თვის ვადაში. აღნიშნული მოთხოვნა აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანია წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოთხოვნებს არეზერვებს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიმდინარე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1.3%	3.5%	12%	57.5%	80.5%	100%	
მთლიანი ღირებულება	871,728	5,609	15,398	12,165	38,706	8,683	952,289
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	11,256	196	1,848	6,995	31,158	8683	60,136

ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიმდინარე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1.3%	3.5%	57.5%	80.5%	100.0%	
მთლიანი ღირებულება	848,237	2,413	7,938	1,000	29,216	888,804
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	7,283	84	4,564	805	29,216	41,952

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024		
	ფინანსური მოთხოვნები	გაცემული ავანსები	სულ
1 იანვარი	(41,952)	(55,214)	(97,166)
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(46,534)	13,540	(32,994)
ამოღება	28,350	-	28,350
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(18,184)	13,540	(4,644)
31 დეკემბერი	(60,136)	(41,674)	(101,810)

	2023		
	ფინანსური მოთხოვნები	გაცემული ავანსები	სულ
1 იანვარი	(136,360)	-	(136,360)
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	(7,556)	(55,214)	(62,770)
ამოღება	101,964	-	101,964
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	94,408	(55,214)	39,194
31 დეკემბერი	(41,952)	(55,214)	(97,166)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში (ლარში)	289,590	265,019
ფული ბანკში (უცხოურ ვალუტაში)	298,131	15,169
	587,721	280,188

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

კომპანიის მიმდინარე ანგარიშზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 521 ლარი და 6,310 ლარი 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად.

12. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

საწესდებო კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	წილი კაპიტალში	31 დეკემბერი 2024 და 2023
პაატა აროშიძე	43%	606
დავით გამცემლიძე	42%	592
გრიგოლ ცაავა	15%	212
	100%	1,410

კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაარსებისას შეადგენდა 1,100 აშშ დოლარს (1,410 ლარი). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

შპს „გეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება (გაგრძელება)

2024 და 2023 წლებში მოხდა დივიდენდის გაცემა მეწილეებზე, საერთო თანხით 1,133,105 ლარი და 1,602,917 ლარი, შესაბამისად. დივიდენდებთან დაკავშირებულმა მოგების გადასახადის ხარჯმა 2024 წელს შეადგინა 197,377 ლარი (2023 წელი: 276,170 ლარი).

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სახელშეკრულებო დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024
სს "თიბისი ბანკი"				
სესხი 1	ევრო	წლიური 8.5%	აგვისტო 2027	403,789
სესხი 1 - მოკლევადიან სესხად კლასიფიცირებული გრძელვადიანი ნაწილი	ევრო	წლიური 8.5%	აგვისტო 2027	753,848
				1,157,637

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სახელშეკრულებო დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023
სს "თიბისი ბანკი"				
სესხი 1	ევრო	წლიური 6% (Euribor- ის 6 თვიან განაკვეთს + 5.78%)	ივნისი 2024	268,743
სესხი 2 - მოკლევადიან სესხად კლასიფიცირებული გრძელვადიანი ნაწილი	ევრო	8.5%	დეკემბერი 2026	414,105
სესხი 2	ევრო	8.5%	დეკემბერი 2026	180,955
				863,803

კომპანიას აღნიშნული საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაფარული აქვს დარიცხული საპროცენტო ვალდებულებები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასესხო ვალდებულებები უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონებით - 2,800 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთით, რომელიც მდებარეობს ორხევში. სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხები, ასევე, უზრუნველყოფილია დამფუძნებელთა ქონების თავდებობებითა და კომპანიის როგორც თავისი, ასევე, მეკავშირე საწარმოს მიმდინარე და სამომავლო აქტივებით.

სს „თიბისი ბანკის“ ყველა სესხზე ფიქსირდება არა ფინანსური შეზღუდვები. კომპანიის ხელმძღვანელობას მუდმივად აქვს კომუნიკაცია კრედიტორებთან აღნიშნულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არღვევდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების რამდენიმე შეზღუდვას. აღნიშნული შეზღუდვების დარღვევა დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან. კერძოდ, ბანკს შეუძლია ნაადრევად მოითხოვოს არსებული სესხის დაფარვა. აღნიშნულის გამო, კომპანიამ მოკლევადიანად აღიარა მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილიც.

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2024 და 2023 დასრულებული წლებისთვის მიღებულ სესხებში ბრუნვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვრისთვის	863,803	1,311,172
ფულადი მოძრაობა		
სესხის აღება	2,145,864	1,380,085
გადახდილი ძირი	(1,837,217)	(1,897,190)
გადახდილი პროცენტი	(99,241)	(113,938)
არაფულადი მოძრაობა		
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი*	99,241	113,939
გადაფასების ეფექტი	(14,813)	69,735
31 დეკემბრისთვის	1,157,637	863,803

*2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარანტიის და აკრედიტივის ხარჯებმა შეადგინა 9,540 ლარი და 86,027 ლარი, შესაბამისად.

14. სახელშეკრულებო ვალდებულებები

კომპანიას აქვს საკონტრაქტო ვალდებულებები მიმდინარე პროექტებისთვის მიღებული ავანსების სახით ღირებულებით 10,545,705 ლარი და 9,491,463 ლარი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. საკონტრაქტო ვალდებულები ეხება სხვადასხვა სახის ინსტალაცია-მონტაჟის სამუშაოებს, ასევე მარაგების მიწოდებას კლიენტებისთვის.

კომპანია ვარაუდობს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებებს 2025 წელს შეასრულებს.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	928,603	522,672
გადასახდელი ხელფასები	537	98,864
სხვა	20,137	6,010
	949,277	627,546

16. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
ამონაგები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	11,489,734	4,754,787
ამონაგები დაცვითი მომსახურებიდან	6,208,268	6,811,669
ამონაგები სატელეკომუნიკაციო, საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურებიდან	578,156	4,847,674
	18,276,158	16,414,130

შპს „ვეზირი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მარაგების ხარჯი

მარაგების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
მარაგების საწყისი ნაშთი	4,680,843	3,138,337
მარაგების შეძენა	8,524,659	7,240,707
მარაგების ხარჯი *	(6,763,689)	(5,698,201)
მარაგების საბოლოო ნაშთი	6,441,813	4,680,843

*მარაგების გაუფასურების ხარჯმა 2024 წელს შეადგინა 8,788 ლარი (2023: 111,038 ლარი)

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(281,527)	(341,322)
ქვეკონტრაქტორების ხარჯი	(235,415)	(247,528)
საოფისე და სამეურნეო ხარჯები	(225,037)	(210,953)
მივლინების ხარჯები	(208,193)	(126,530)
იჯარის ხარჯი	(146,620)	(142,910)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები	(120,687)	(79,479)
თანამშრომელთა ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების ხარჯები	(85,907)	(168,962)
კომუნიკაციის ხარჯები	(62,635)	(63,615)
ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის ხარჯი	(45,570)	(119,716)
საბანკო ხარჯები	(26,221)	(35,910)
კომუნალური ხარჯები	(33,006)	(33,421)
სხვა ხარჯები	(47,796)	(94,280)
	(1,518,614)	(1,664,626)

19. სხვა შემოსავალი, წმინდა

	2024	2023
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	1,797,598
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	57,331	-
სხვა	236,390	-
	293,721	1,797,598

20. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	521	6,310
გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	333,691	278,749
	334,212	285,059

21. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
აკრედიტის და გარანტიის საკომისიო ხარჯი	(9,540)	(86,027)
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(99,241)	(113,939)
	(108,781)	(199,966)

22. პირობითი ვალდებულებები**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდებზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 219 ათასი ლარი.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა – მიღებულ სესხებთან დაკავშირებით კომპანიას მოეთხოვება გარკვეული შეზღუდვების დაკმაყოფილება. აღნიშნულ შეზღუდვებთან შესაბამისობა კომპანიისთვის შესაძლოა იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი, რაც გამოიწვევს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას და საქმიანობის შესაძლო შეწყვეტას. კომპანია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა ყველა შეზღუდვას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა.

საბანკო გარანტია

კომპანიას აქვს პირობითი ვალდებულება საბანკო და სადაზღვევო გარანტიების სახით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიის ნაშთმა შეადგინა 800 ათასი ლარი (2023: 503 ათასი ლარი).

სასამართლო დავა - კომპანიის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
		ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
გაცემული სესხები	მეკავშირე საწარმო	2,603,990	2,261,437

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობის სახე	2024	2023
		ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
ფინანსური შემოსავალი	მეკავშირე საწარმო	333,691	278,749

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას. სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება არის 1,139,415ლარი (2023: 947,310 ლარი).

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის იანვარში და აგვისტოში პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოცხადდა დივიდენდები პარტნიორებზე 1,000 ათასი ლარის და 300 ათასი ლარის ოდენობით. გადაწყვეტილების მიხედვით, აღნიშნული დივიდენდები გაიცემა 2025 წლის მანძილზე.

2025 წელს ანგარიშგების გაცემამდე კომპანიამ მეკავშირე საწარმოზე დამატებით გასცა სესხი 1,702 ათასი ლარის ოდენობით. ამასთანავე, 2025 წელს კომპანიის გაცემული სესხის ვადა გახანგრძლივდა და შეადგინა 2027 წლის ივლისი.

შპს „ვეზირი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება

1.	კომპანიის შესახებ	30
2.	სუბიექტის განვითარების გეგმები	30
3.	სერვისები	30
4.	პარტნიორი ორგანიზაციები	31
5.	განხორციელებული პროექტები	32
6.	ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	33
7.	კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	33
8.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	33
9.	ორგანიზაციული სტრუქტურა	34
10.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;	35
11.	დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	35
12.	კორპორატიული კულტურა და ღირებულებები	35
13.	ადამიანური რესურსების მიმოხილვა	35
14.	მისია	35
15.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	36

1. კომპანიის შესახებ

ვეზირი ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების ინტეგრირებული კომპანიაა. ჩვენ 1996 წლიდან ვზრუნავთ, ამ სფეროში არსებული მსოფლიო მიღწევები ხელმისაწვდომი გავხადოთ რეგიონში მოქმედი ორგანიზაციებისთვის. ვეზირის ძირითადი მიმართულებებია ტელეკომუნიკაცია, IT, უსაფრთხოება, ელექტრობა და ბიზნეს გადაწყვეტები.

ვეზირი საქმიანობს ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად და 2008 წლიდან ფლობს ISO 9001 ხარისხის მართვის სერტიფიკატს ტელეკომუნიკაციის, ტელემეტრიის, ავტომატიზაციის და უსაფრთხოების სისტემების დიზაინის, მონტაჟის, გაშვების, გაყიდვების შემდგომი მომსახურების და კერძო დაცვითი საქმიანობისთვის.

კომპანიას განხორციელებული აქვს 200-ზე მეტი პროექტი 150-ზე მეტი დამკვეთისთვის, არის 50-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდის პარტნიორი და დასაქმებული ყავს 280-მდე თანამშრომელი.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები

სამომავლოდ კომპანია ისახავს მიზნად ახალი კლიენტების მოზიდვას და არსებული პორტფელის გაფართოებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბიზნეს გადაწყვეტებისა და ელექტრობის მიმართულებების განვითარებას, ასევე ახალი პროდუქტების დამატებას. დაგეგმილია X-ray გადაწყვეტების დანერგვა და ამ სფეროში პერსონალის პროფესიული ზრდა - როგორც საინსტალაციო პროცესებში, ისე გაყიდვის შემდგომი ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკური გადაწყვეტების განვითარება. პარალელურად, კომპანია გეგმავს ახალი თანამშრომლების მოზიდვას IT-სა და ელექტრობის მიმართულებით. ამასთან, იგეგმება არსებული გუნდის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოგრაფიულ ექსპანსიას: „ვეზირის“ სერვისების გატანას საექსპორტო ბაზრებზე, სადაც პირველ ეტაპზე აქცენტი უზბეკეთის ბაზარზე გაკეთდება.

3. სერვისები


კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ფართო სპექტრის საინჟინრო და ტექნოლოგიურ სერვისებს, რომლებიც მოიცავს როგორც უსაფრთხოების, ასევე კომუნიკაციისა და ენერგეტიკის მიმართულებებს. ქვემოთ წარმოდგენილია სერვისები, რომელთა მეშვეობითაც ვუზრუნველყოფთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დაცულობას, ეფექტიანობასა და კომფორტს:

- ხანძრის ავტომატური დეტექციის სისტემა / Fire Alarm and Detection system
- ხმოვანი შეტყობინების, ევაკუაციისა და ფონური მუსიკის სისტემა - PAVA/BGM
- ხანძრის ავტომატური წყლით ქრობის სისტემა / Fire Extinguishing by water (sprinkler system)
- ხანძრის ავტომატური გაზით ქრობის სისტემა (ქრობის აგენტები: NOVEC 1230, FM200, IG 100, IG01, IG55) / Fire suppression system (agent gas: NOVEC 1230, FM200, IG 100, IG01, IG55)
- შეღწევის საწინააღმდეგო სისტემა / Intrusion detection system (Security)
- შეზღუდული დაშვების სისტემა / Access control system
- პერიმეტრის/საზღვრის/წრფივი ინფრასტრუქტურის (მილსადენი) დაცვის სისტემა / Perimeter/Border/Linear Asset (Pipeline) Protection System
- დრონები და ანტიდრონები / Drones and Counter Drones
- ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა / CCTV system
- პარკინგის მართვისა და კონტროლის სისტემა / Parking Guidance and control system
- ვიზიტორთა დათვლის სისტემა / People counting

3. სერვისები (გაგრძელება)

- ინტეგრირებული შენობის მართვის სისტემა / Integrated Building Management System
- ოთახების მართვის სისტემა / Room management system
- სასტუმროს კარის ელექტრონული საკეტების სისტემა / Hotel Door Electronic Lock System
- ლოკალური ქსელის სისტემები / LAN Network System
- უკაბელო ქსელი / Wi-Fi System
- სერვერული მოწყობილობა / Server Equipment
- უწყვეტი კვების სისტემა / UPS System
- სატელეფონო და ხმის ჩამწერი სისტემები / Telephony and Voice Recording Systems
- ქოლ/კონტაქტ ცენტრი / Call/Contact Center
- ხმის ბიომეტრია და ანალიტიკა / Voice Biometrics and Analytics
- IP ტელევიზია / IP TV System
- ოპტიკური/სპილენძის საკაბელო სისტემები / Optical/Copper Cables and cabling for the systems
- სისტემების ცენტრალიზებული ინტეგრაციის და მენეჯმენტის პლატფორმა / Systems centralized integration and management platform
- კონტაქტ ცენტრების გადაწყვეტები/ Solutions for Contact Centers
- რისკების მენეჯმენტი / Risk Management
- სამუშაო ძალის მენეჯმენტ სისტემები / Work force management systems
- ჩატბოტი / Chatbot
- მონაცემთა მართვის პლატფორმები / Data Management Platforms
- უწყვეტი კვების და ელექტრო მომარაგების სისტემები / Uninterruptible power supply solutions and low and medium voltage power systems

4. პარტნიორი ორგანიზაციები



5. განხორციელებული პროექტები

- **თიბისი ბანკი** - 2015 წელი - ქოლ ცენტრის ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა და SIEBEL CRM-ში
- **თიბისი ბანკი** - 2019 წელი - ქოლ ცენტრის და დეპიტორების მართვის სისტემის ინტეგრირება.
- **თიბისი ბანკი** - 2017 წელი - ხმის ბიომეტრიის (Voice biometrics) დანერგვა ქოლ ცენტრში.
- **თიბისი სფისი** - 2019 წელი - ქოლ ცენტრის დანერგვა და ინტეგრაციას Salesforce CRM სისტემაში.
- **Gudaure Lodge/გუდაური ლოჯი** - 2019 წელი - დამკვეთი მ2. - მივაწოდეთ და დავნერგეთ: სატელეფონო სადგური, სასტუმროს ტელეფონის აპარატები,
ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა, სასტუმროს ნომრის კარის ელექტრონული საკეტები
- **სასტუმრო Park Hotel Tsinandali** - 2019 წელი - დამკვეთი შპს წინანდლის მამულები - სამზარეულოს ხანძრის ავტომატური დეტექციის და ქრობის სისტემა, სასტუმროს ნომრის კარის ელექტრონული საკეტები
- **სასტუმრო Holiday Inn Telavi** - 2019 წელი - დამკვეთი შპს სასტუმრო თელავი - მივაწოდეთ და დავნერგეთ სასერვერო ოთახის ხანძრის ავტომატური დეტექციის და გაზით NOVEC 1230 ქრობის სისტემა,
- **სასტუმრო Radisson BLU Iveria Hotel Tbilisi** - 2018 წელი - დამკვეთი შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი - მივაწოდეთ და დავნერგეთ სასერვერო ოთახის ხანძრის ავტომატური დეტექციის და გაზით NOVEC 1230 ქრობის სისტემა,
- **საქართველოს ბანკი** - 2019 წელი - Genesys-ის ქოლ ცენტრის სისტემის მიწოდება და ინტეგრაცია. მოხდა ბანკის არსებული CISCO-ს წარმოების ქოლ ცენტრის სისტემის სრულად შეცვლა.
- **Evolution Gaming Gorgia** - 2019 წელი - C ბლოკის ხანძრის ავტომატური დეტექციის და ხმოვანი ევაკუაციის სისტემების მიწოდება მონტაჟი
- **Evolution Gaming Gorgia** - 2019 წელი - C ბლოკის სასერვერო ოთახის ხანძრის ავტომატური დეტექციის და გაზით NOVEC 1230 ქრობის სისტემა,
- 2019 წელი - **Evolution Gaming Gorgia – D** ბლოკის ხანძრის ავტომატური დეტექციის, ხმოვანი ევაკუაციის და სასერვეროს ხანძრის დეტექციის და ავტომატური ქრობის სისტემების ტექნიკური დიზაინი.
- 2020 წელი - **Evolution Gaming Gorgia – D** ბლოკის სასერვერო ოთახის ხანძრის ავტომატური დეტექციის და გაზით NOVEC 1230 ქრობის სისტემა, ბრენდები
- 2020 წელი - **Evolution Gaming Gorgia – D** ბლოკის ხანძრის ავტომატური დეტექციის და ხმოვანი ევაკუაციის სისტემების მიწოდება მონტაჟი
- 2020 წელი - **Evolution Gaming Gorgia – H** ბლოკის ხანძრის ავტომატური დეტექციის და ხმოვანი ევაკუაციის სისტემების მიწოდება მონტაჟი
- 2020 წელი - **სასტუმრო Kempinski** - დამკვეთი მ2. - მივაწოდეთ და დავნერგეთ Mockup ოთახში ოთახის მენეჯმენტის სისტემა (RMS – Room Management System)
- 2020 წელი - **თიბისი ბანკი უზბეკეთი** - Genesys-ის ქოლ ცენტრის სისტემის მიწოდება და ინტეგრაცია. სხვა სტანდარტულ ფუნქციონალთან ერთად, მოხდა Facebook მესენჯერს, Telegram-ის და ვიდეო ჩეთის ინტეგრირება ქოლ ცენტრში.
- 2020 წელი - **შპს ტერმინალი** Co-Working ფართის საქართველოში არსებულ ყველაზე დიდი ორგანიზაციას გაუვკეთეთ კარის ელექტრონული საკეტების სისტემა და მობილური გასაღებები
- 2020 წელი - **შპს იმპაქტ ჰაბი** Co-Working გაუვკეთეთ კარის ელექტრონული საკეტების სისტემა და მობილური გასაღებები
- 2020 წელი - **შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“** - ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხანა #1-ის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების დიზაინი;
- 2020 წელი - **შინაგან საქმეთა სამინისტრო** - ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის გაფართოება

5. განხორციელებული პროექტები (გაგრძელება)

- 2021 წელი - **სასტუმრო Encore Ramada** (მელიქიშვილზე) - დამკვეთი მ2. - მივაწოდეთ და დავნერგეთ: ვიდუო მეთვალყურეობის სისტემა, სასტუმროს ნომრის კარის ელექტრონული საკეტები.
- 2022 წელი - **ავერსი- Genesys**-ის ქოლცენტრის სისტემის დანერგვა.
- 2022 წელი - **Alliance Privilege**- სასტუმროს ოთახების დაშვების სისტემის მიწოდება და მონტაჟი, ბრენდი „Salto“.
- 2023 წელი - **Paragraph Hotel** - პარკინგის ავტომატური მართვის და გადახდის სისტემის დანერგვა. ბრენდები: Cross Parksol
- 2023 წელი - **BP საქართველო - BTC** მილსადენის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით შეღწევის საწინააღმდეგო სისტემის დანერგვა.
- 2024 წელი - **საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია** - მაღალტექნოლოგიური გადასადგომი მობილური კავშირგაბმულობის ხარისხზე მონიტორინგის სისტემის დანერგვა. ბრენდი: Rohde & Schwarz
- 2024 წელი - **Wendy's Georgia**-ში Rotarex-ის ფირმის კომერციული სამზარეულოს ხანძარქრობის სისტემის მიწოდება/მონტაჟი და გამრთვა.
- 2025 წელი - Socar Midstream Operation - უსაფრთხოების სისტემების სრული განახლება. ბრენდები: tions, Genetec, Cisco, Dell

6. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ცენტრალური ოფისი აქვს ქ. თბილისში: 7 ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა. კომპანიას ქვეყნის მასშტაბით არ გააჩნია ფილიალები.

7. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

8. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „ვეზირის“ მომგებიანობის მაჩვენებელი, წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია. 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით 33%-ით შემცირდა წმინდა მოგება. შემცირების ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ კომპანიამ 2023 წელს მოახდინა მიწის რეალიზაცია, რომელიც სხვა შემოსავალში აისახა. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს კომპანიის საოპერაციო მოგება გაიზარდა და შეადგინა 706 ათასი ლარი, 2023 წელს კი 40 ათასი. ასევე, კომპანიის აქტივები გაიზარდა 13%-ით.

2024 წელს ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0.76-დან 0.96-მდე, რაც მიუთითებს პოზიტიურ ტენდენციაზე, თუმცა კვლავ 1-ზე დაბალია. მიზეზი ძირითადად ისაა, რომ კოვენანტების დარღვევის გამო, მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი დაკლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი. აღსანიშნავია, რომ ამ სესხზე კომპანია უპრობლემოდ ემსახურება და ბანკს არ მოუთხოვია არასოდეს წინასწარ დაფარვა. ასევე, მოკლევადიან ვალდებულებებში შედის არსებითი ოდენობის სახელშეკრულებო ვალდებულებები (მიღებული ავანსები), რომლისთვისაც კომპანიას თანხა მიღებული აქვს და სერვისის მიწოდება ევალდებულება. ჩვენი მოლოდინით, აღნიშნული ავანსები 2025 წელს შესრულდება და მათ მეორე ნაწილსაც მივიღებთ ფულადი სახსრების სახით.

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა (2023 - 1.31; 2024 - 1.29), რაც კომპანიის აქტივების სტაბილურ, ეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებს.

8. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2024	2023
საოპერაციო მოგების მარჟა	3.86%	0.25%
წმინდა მოგების მარჟა	5.69%	9.40%
უკუგება კაპიტალზე	17.22%	24.32%
უკუგება აქტივებზე	1.95%	3.89%
ლიკვიდურობის (მიმდინარე) კოეფიციენტი	0.96	0.76
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	1.29	1.31

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	2024	2023
სულ აქტივები	14,114,297	12,538,463
ამონაგები	18,276,158	16,414,130
საოპერაციო შემოსავალი	706,327	40,780
წმინდა მოგება	1,039,132	1,542,545

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / საოპერაციო შემოსავალი

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი აქტივები

ლიკვიდურობის (მიმდინარე) კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი = ამონაგები/სულ აქტივები

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსურ მაჩვენებლებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

	2024	2023
თანამშრომელთა რაოდენობა	279	353

9. ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიაში ფუნქციონირებს შემდეგი დეპარტამენტები. თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები დელეგირებულია და გაწერილია.

- გაყიდვების დეპარტამენტი
- ფინანსური დეპარტამენტი
- იურიდიული დეპარტამენტი
- ადამიანური რესურსების დეპარტამენტი
- შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტი

9. ორგანიზაციული სტრუქტურა (გაგრძელება)

- ხარისხის მართვის დეპარტამენტი
- IT, ტელეკომუნიკაციის და უსაფრთხოების სისტემების გუნდი
- HSE დეპარტამენტი
- პროექტების მართვის დეპარტამენტი
- რისკების მართვისა და კონტროლის დეპარტამენტი
- ავტომეურნეობის დეპარტამენტი
- ელექტროობის სისტემების გუნდი

10. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

11. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

12. კორპორატიული კულტურა და ღირებულებები

კომპანიის კულტურა დაფუძნებულია პატივისცემაზე, პასუხისმგებლობაზე და გუნდურობაზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, ინოვაციური მიდგომების წახალისება და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

ძირითადი ღირებულებები:

- პატივისცემა და ეთიკა – თითოეული თანამშრომლისადმი სამართლიანი მიდგომა
- პასუხისმგებლობა – პროფესიული ვალდებულებების შესრულება მაღალი ხარისხით
- თანასწორობა – დისკრიმინაციის სრული აკრძალვა, თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომლისთვის
- განვითარება – უწყვეტი სწავლა, კვალიფიკაციის ამაღლება და მუდმივი გაუმჯობესება
- გუნდურობა – კოლაბორაციული და მხარდამჭერი სამუშაო გარემო
- უსაფრთხოება - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვა

13. ადამიანური რესურსების მიმოხილვა

კომპანიაში დასაქმებულია სულ 279 თანამშრომელი.

- დასაქმების ფორმა: უმეტესობა სრული განაკვეთი
- თანამშრომელთა გადინება: დაბალი მაჩვენებელი

ადამიანური რესურსების მართვა ემყარება სამართლიან შერჩევას, პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და მოტივაციის გაზრდას.

14. მისია

ჩვენი მისიაა, შევქმნათ ახალი საინჟინრო და ტექნოლოგიური შესაძლებლობები ბიზნესებისა და სახელმწიფოსთვის, ხოლო საუკეთესო კარიერული შესაძლებლობები - ადამიანებისთვის.

15. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სტრუქტურული ერთეული	რისკი	პოტენციური ზეგვლენა	პრევენციული/შემამსუბუქებელი დონისძიებები
HR დეპარტამენტი	კვალიფიციური კადრების დეფიციტი	თანამშრომელთა ნაკლებობა, პროდუქტიულობის ვარდნა	სასწავლო პროგრამები, ტალანტების მოზიდვის კამპანიები
ფინანსები	ფულადი ნაკადების შეფერხება	ვალდებულებების დროულად შესრულება	არ რეზერვების ალტერნატიული წყაროები
ოპერაციები	ტექნიკური გაუმართაობა	წარმოების შეჩერება	ტექნიკური რეგულარული ჩატარება
გაყიდვები მარკეტინგი	და ბაზრის მოთხოვნის კლება	შემოსავლების შემცირება	ბაზრის დივერსიფიკაცია, ახალი პროდუქტების დანერგვა
გარემოსდაცვითი ფაქტორები	რეგულაციების გამკაცრება	დამატებითი ხარჯები, საქმიანობის შეზღუდვა	შესაბამისობის მონიტორინგი, ინიციატივები
ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)	კიბერუსაფრთხოე ბის ინციდენტები	მონაცემთა დაკარგვა, რეპუტაციის ზიანი	უსაფრთხოების გამკაცრება, სისტემების ტესტირება

კომპანია რისკების მართვას განიხილავს, როგორც ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს. მიზანია დროულად გამოვლინდეს შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს საქმიანობაზე.

პროცესი მოიცავს:

- რისკების იდენტიფიკაციასა და კლასიფიკაციას (სტრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური, გარემოსდაცვითი და სხვა)
- მათი გავლენისა და ალბათობის შეფასებას
- პრევენციული და შემამსუბუქებელი დონისძიებების შემუშავებას
- პერიოდულ მონიტორინგსა და გადახედვას

ეს უზრუნველყოფს კომპანიას სტაბილური ფუნქციონირების, მიზნების მიღწევის და გარე გამოწვევების ადაპტირების შესაძლებლობას.

- რისკების დროული იდენტიფიკაცია და შეფასება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში (ISO 9001:2015)
- რისკის შემცირება პრევენციული და მაკორექტირებელი ქმედებების გატარებით
- რისკის გადაცემა (მაგ. სადაზღვევო კომპანიებისთვის ან ქვეკონტრაქტორებისთვის)
- რისკების მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა ხარისხის საბჭოს მიერ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

პაატა აროშიძე _____

დირექტორი

15. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სტრუქტურული ერთეული	რისკი	პოტენციური ზეგავლენა	პრევენციული/შემამსუბუქებელი დონისძიებები
HR დეპარტამენტი	კვალიფიციური კადრების დეფიციტი	თანამშრომელთა ნაკლებობა, პროდუქტიულობის ვარდნა	სასწავლო პროგრამები, ტალანტების მოზიდვის კამპანიები
ფინანსები	ფულადი ნაკადების შეფერხება	ვალდებულებების დროულად არ შესრულება	რეზერვების ალტერნატიული წყაროები
ოპერაციები	ტექნიკური გაუმართაობა	წარმოების შეჩერება	ტექნიკური რეგულარული ჩატარება
გაყიდვები მარკეტინგი	და ბაზრის მოთხოვნის კლება	შემოსავლების შემცირება	ბაზრის დივერსიფიკაცია, ახალი პროდუქტების დანერგვა
გარემოსდაცვითი ფაქტორები	რეგულაციების გამკაცრება	დამატებითი ხარჯები, საქმიანობის შეზღუდვა	შესაბამისობის მონიტორინგი, ინიციატივები
ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)	კიბერუსაფრთხოე ბის ინციდენტები	მონაცემთა დაკარგვა, რეპუტაციის ზიანი	უსაფრთხოების გამკაცრება, სისტემების ტესტირება

კომპანია რისკების მართვას განიხილავს, როგორც ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს. მიზანია დროულად გამოვლინდეს შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს საქმიანობაზე.

პროცესი მოიცავს:

- რისკების იდენტიფიკაციასა და კლასიფიკაციას (სტრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური, გარემოსდაცვითი და სხვა)
- მათი გავლენისა და ალბათობის შეფასებას
- პრევენციული და შემამსუბუქებელი დონისძიებების შემუშავებას
- პერიოდულ მონიტორინგსა და გადახედვას

ეს უზრუნველყოფს კომპანიას სტაბილური ფუნქციონირების, მიზნების მიღწევის და გარე გამოწვევების ადაპტირების შესაძლებლობას.

- რისკების დროული იდენტიფიკაცია და შეფასება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში (ISO 9001:2015)
- რისკის შემცირება პრევენციული და მაკორექტირებელი ქმედებების გატარებით
- რისკის გადაცემა (მაგ. სადაზღვევო კომპანიებისთვის ან ქვეკონტრაქტორებისთვის)
- რისკების მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა ხარისხის საბჭოს მიერ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

პაატა არაშიძე

დირექტორი